ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 4

17 დეკემბერი, 2025 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

13:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

ვალერიან პაპუაშვილი

მიხეილ რეხვიაშვილი

ქეთევან ჭავჭანიძე

ნოდარ ბოკერია

ნიკოლოზ ჭუჭულაშვილი

სხდომას ასევე ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები:

1. თამარ გოგიბერიძე
2. შაია დეკანოსიძე
3. შოთა მინდელი

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან არსებული სკვერისთვის **მეფე ერეკლე II - ის** სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის IV შესახვევისთვის ისტორიკოსის, აკადემიკოს **ოთარ ჯაფარიძის** ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ნადიკვრის III ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, სულიკო თორთლაძის ქუჩისთვის და ერთი ჩიხისთვის **თაბორის მთის** სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ნადიკვრის III ქუჩის მონაკვეთისთვის სპორტსმენის, კალათბურთელის **სულიკო თორთლაძის** სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლუღის I დასახლების VIII შესახვევის მონაკვეთისთვის **ელისაბედ ორბელიანის** I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის **მიხეილ გრიგორაშვილის** I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩის გავრცელების არეალის კორექტირებისა და ანდრია გუგუშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის **კორნელი სანაძის** სახელის მინიჭების შესახებ.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი განიხილა.

1. **ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან არსებული სკვერისთვის მეფე ერეკლე II - ის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: როგორც ცნობილია, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ 2025 წლის 20 ნოემბრის კომისიის სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად განხილულ იქნა ისნის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან არსებული უსახელო სკვერისთვის მეფე ერეკლე II-ის სახელის მინიჭების საკითხი. ლევან აბაშიძის ინფორმაციით, აღნიშნული სკვერის მიმდებარედ, მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილის ესკიზის მიხედვით დამზადებული ერეკლე II-ის ძეგლი 2025 წლის 24 ოქტომბერს გაიხსნა. ვინაიდან განთავსებული ძეგლი თვისობრივად ცვლის არსებულ ტერიტორიას და სივრცეს განსაკუთრებულ კულტურულ და ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს, მიზანშეწონილია, რომ სკვერს მეფე ერეკლე II-ის სახელი ეწოდოს. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, დედაქალაქში არ არსებობს ერეკლე II-ის სახელობის სკვერი.

კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

მომხრე - ექვსი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან არსებულ სკვერს მიენიჭოს მეფე ერეკლე II - ის სახელი.

2. **ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის IV შესახვევისთვის ისტორიკოსის, აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძის განცხადებით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ გეოგრაფიული ობიექტების საველე პირობებში დამუშავებისა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან კონსულტაციების ფარგლებში დადგინდა, რომ ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩას არ გააჩნია ერთი დასაწყისი და დასასრული, ქუჩის გარკვეული მონაკვეთები ერთგვარი ქსელის სახით იყო

სახელდებული, შეუძლებელი იყო ტერიტორიის დამისამართება. აღნიშნული ხარვეზების მოწესრიგების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ შესახვევს 2023 წელს აკადემიკოს გივი ცინცაძის სახელი მიანიჭა. აკადემიკოს ნანა ხაზარაძის სახელი დაერქვა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ივანე მიჩურინის ქუჩის ნაწილს.

ლევან აბაშიძის განცხადებით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 10/032027469-03 წერილის საფუძველზე, კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

როგორც ზემოხსენებული ქსელის შესწავლის პროცესში დადგინდა, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის IV შესახვევი მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას საქარის ქუჩასთან. შესახვევს გეგმარებითი კავშირი არ აქვს ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩასთან და მიზანშეწონილია მისი დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბება, რათა მოწესრიგდეს ნუმერაცია და განთავსდეს სამისამართე აბრები.

კომისიამ საკითხის შესწავლის დროს აქცენტი გააკეთა შესახვევის მიმდებარედ სახელდებულ ქუჩებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის IV შესახვევისთვის აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის სახელის მინიჭება.

კომისიის სხდომაზე ოთარ ჯაფარიძის ბიოგრაფიაზე და მოღვაწეობაზე ისაუბრეს და კომისიის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხს ერთხმად დაუჭირეს მხარი.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი.

მომხრე - ექვსი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის IV შესახვევს მიენიჭოს ისტორიკოსის, აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის ქუჩის სახელი.

3. **ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ნადიკვრის III ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, სულიკო თორთლაძის ქუჩისთვის და ერთი ჩიხისთვის თაბორის მთის სახელის მინიჭების შესახებ**
4. **ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ნადიკვრის III ქუჩის მონაკვეთისთვის სპორტსმენის, კალათბურთელის სულიკო თორთლაძის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძემ კრწანისის რაიონში ბეჟან კალანდაძის ქუჩის მიმდებარედ განსახორციელებელ სახელდებებთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში მიმდინარეოს მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები, შესაბამისად წარმოიქმნა ახალი გზათა ქსელები. 2013 წელს ხსენებულ ტერიტორიაზე უსახელო ქუჩას ეწოდა სულიკო თორთლაძის სახელი. სახელდების შემდგომ ხსენებულ ტერიტორიაზე განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები, აშენდა კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი ახალი გზა, რომელსაც მოგვიანებით თაბორის მთის ქუჩა ეწოდა. 2013 წელს სახელდებული სულიკო თორთლაძის ქუჩა ფაქტობრივად გახდა თაბორის მთის ქუჩის გეგმარებითი გაგრძელება. თაბორის მთის ქუჩის გაგრძელებაა ასევე სულიკო თორთლაძის ქუჩასთან არსებული უსახელო მონაკვეთი და ნადიკვრის III ქუჩის ნაწილი მანანა მელქაძისა და ბეჟან კალანდაძის ქუჩებამდე. გრგ-1 ფარგლებში წარმოქმნილი უსახელო გეოგრაფიული ობიექტი კი გახდება ჩიხი და მიენიჭება თაბორის მთის ქუჩის ჩიხის სახელი.

კომისიის სხდომაზე სულიკო თორთლაძის ბიოგრაფიაზე ისაუბრეს. იგი იყო კალათბურთელი, დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე. აქედან გამომდინარე, კომისიას მიზანშეწონილად არ მიიჩნია მისი სახელის გადარქმევა. ლევან ჯაფარიძის ინფორმაციით, საკითხთან დაკავშირებით, კომისიამ კონსულტაციები გამართა კრწანისის რაიონის მაჟორიტარ წევრთან, ლევან ჯაფარიძესთან. მისი მოსაზრების გათვალისწინებით და კომისიის წევრების თანხმობით, გადაწყდა, რომ სულიკო თორთლაძის სახელი ეწოდოს ნადიკვრის III ქუჩის დარჩენილ მონაკვეთს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე და მეოთხე საკითხები.

მომხრე - ექვსი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, ნადიკვრის III ქუჩის მონაკვეთს, მასთან მდებარე უსახელო ქუჩას, სულიკო თორთლაძის ქუჩას და ერთ ჩიხს მიენიჭოს თაბორის მთის სახელი;
კრწანისის რაიონში, ნადიკვრის III ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს სპორტსმენის, კალათბურთელის სულიკო თორთლაძის სახელი.

5. **ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლუღის I დასახლების VIII შესახვევის მონაკვეთისთვის ელისაბედ ორბელიანის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძემ დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი წარმოადგინა. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტიდან კომისიაში შემოსულია წერილი, რომლითაც მოქალაქე მაია დეკანოსიძის მიმართვის საფუძველზე მოთხოვნილია მითითებული საკადასტრო ერთეულის (01.17.09.024.015) მიხედვით მისამართის მოწესრიგება. საკითხის შესწავლის პროცესში აღმოჩნდა, რომ გეოგრაფიული ობიექტი უსახელოა და მდებარეობს ნავთლუღის I დასახლების VIII შესახვევში. აღნიშნული ტერიტორია გეგმარებითი თვალსაზრისით, ესაზღვრება ელისაბედ ორბელიანის ქუჩას და პარამეტრების შესაბამისად განეკუთვნება ჩიხს.

საზოგადო მოღვაწის, ელისაბედ ორბელიანის სახელი გიორგი მათიაშვილის ქუჩას 2018 წელს მიენიჭა.

კომისიის სხდომას ესწრებოდა მაია დეკანოსიძე. კომისიის სამდივნოს უფროსის მიერ მას დეტალურად განემარტა იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც ხსენებული ტერიტორიის მიმდებარედ სავალდებულოა და მომავალში განხორციელდება. ლევან აბაშიძემ სახელდების შემდგომ პროცედურებთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის სამისამართო დეპარტამენტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის ჩართულობაზე ისაუბრა და აღნიშნულთან დაკავშირებით დამსწრე საზოგადოებას ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესუთე საკითხი.

მომხრე - ექვსი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ნავთლუღის I დასახლების VIII შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს ელისაბედ ორბელიანის I ჩიხის სახელი.

6. **ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის მიხეილ გრიგორაშვილის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძის ინფორმაციით, სამგორის რაიონში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს ძირითადი ქუჩის, მიხეილ გრიგორაშვილის I შესახვევის სახელი მიენიჭება. აღნიშნული სახელდება ასევე კომისიის და სამისამართო დეპარტამენტის ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდება. სხენებული სამსახურის და მოქალაქე შოთა მინდელის მომართვის საფუძველზე ტერიტორიის შესწავლისას დადგინდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი (ს.კ.01.19.24.007.059) მდებარეობს მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის შესახვევს.

მიხეილ გრიგორაშვილი გამოჩენილი ქართველი ავიაინჟინერი იყო. ცხოვრობდა აშშ-ში და წარმატებით მოღვაწეობდა თავის დროზე რუსეთის, შემდეგ აშშ-ს და კანადის ავიაციებში.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის სხდომას ესწრებოდა შოთა მინდელი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი.

მომხრე - ექვსი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს მიხეილ გრიგორაშვილის I შესახვევის სახელი.

7. **ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩის გავრცელების არეალის კორექტირებისა და ანდრია გუგუშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის კორნელი სანაძის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილი ბოლო საკითხი სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩის გავრცელების არეალის კორექტირებას და ანდრია გუგუშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის კორნელი სანაძის სახელის მინიჭებას ეხება.

ლევან აბაშიძის განმარტებით, კორნელი სანაძის ქუჩა მდებარეობს სამგორის რაიონში და ერთმანეთთან აკავშირებს ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩას და კახეთის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიებს. ქუჩის სახელდება განხორციელდა რამდენიმე ეტაპად, გაგრძელდა სხვადასხვა პერიოდში. საკითხის შესწავლით დგინდება, რომ ტერიტორიის აქტიური განაშენიანება უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მიმდინარეობს და განაშენიანების პროცესმა უმნიშვნელო ცვლილებები გამოიწვია გზათა ქსელის გავრცელების არეალების თვალსაზრისით.

2011 წლის #111 დადგენილების გამოცემის მომენტში, დღევანდელი კორნელი სანაძის #49 მისამართის მიმდებარედ იკვეთებოდა გზათა ქსელი, რომელზეც სახელდება განხორციელდა. დღეის მდგომარეობით დგინდება, რომ აღნიშნულ მონაკვეთზე, რომელიც მოიცავს დაახლოებით 50 მეტრს, ფაქტობრივი გზა აღარ არსებობს. საგზაო ინფრასტრუქტურა და სერვიტუტის ხელშეკრულებით დადასტურებული გზა გადანაცვლებულია სახელდებული მონაკვეთიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 40 მეტრით.

ხსენებულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია 2011 წელს სახელდებული ტერიტორია შესაბამისობაში მოვიდეს ფაქტობრივ მდგომარეობასთან, რათა ქუჩის უწყვეტობა და ნუმერაციის თანამიმდევრულობა შენარჩუნდეს. ვინაიდან ქუჩის გავრცელების არეალის კორექტირებით იცვლება გზის მოხვევის კუთხეც, უწყვეტობის შესანარჩუნებლად საჭირო ხდება მიმდებარედ არსებული ანდრია გუგუშვილის ქუჩის დასასრულში არსებული დაახლოებით 30 მეტრიანი მონაკვეთისთვის ასევე კორნელი სანაძის სახელის დარქმევა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი.

მომხრე - ექვსი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, დაკორექტირდეს კორნელი სანაძის ქუჩის გავრცელების არეალი და ანდრია გუგუშვილის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს კორნელი სანაძის სახელი.

ლევან აბაშიძემ მადლობა გადაუხადა დაინტერესებულ პირებს საკითხების საჯარო განხილვაში აქტიური ჩართულობისთვის და კომისიის წევრებს ინიციატივებად დასარეგისტრირებელი საკითხები გააცნო

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექთან დაკავშირებით
2. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, დავით სარაჯიშვილის ქუჩისთვის **დავით სარაჯიშვილის გამზირის** სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, გელა ოჩიაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, **გურამ სოლოღაშვილის** სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, აბუსერიძე ტბელის ქუჩისთვის და სახალხოს III ჩიხისთვის **ტბელ აბუსერიძის ქუჩის** სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ჰოსპიტლის შესახვევისთვის **ჰოსპიტლის ქუჩის** სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, ქედის ქუჩის გავრცელების არეალის დაზუსტების და ქედის ქუჩის მონაკვეთისთვის **ხანძთის I ჩიხის** სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, საირმის II შესახვევის გავრცელების არეალის კორექტირების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩასთან, თბილისის შემოსავლელ გზატკეცილზე არსებული ხიდის ქვედა დონეზე მდებარე უსახელო გასასვლელისთვის **26 მაისის I გასასვლელის** სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, რეზო გაბაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის **რეზო გაბაშვილის I ჩიხის** სახელის მინიჭების შესახებ.

12-032534442-03 (10.12.2015) წერილით ბიუჯეტის განმეორებით წარდგენილი პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 2 193 388,7 ათასი ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 983 178,0 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 219 823,3 ათასი ლარით, ხოლო 2026 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან შედარებით გაზრდილია 110 906,5 ათასი ლარით.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის, ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილთან არსებითი შემხებლობა აქვს მისამართის აღმნიშვნელი აბრების დამზადება მონტაჟის მიმართულებით. ხსენებული რესურსები გათვალისწინებულია კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებების პროგრამულ კოდში (02.09.01).

კომისიის მიერ შესწავლილი იქნა 02.09.01 პროგრამული კოდი, რომელიც ქუჩების ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟისთვის გამოყოფილ თანხებს ეხება. ხსენებული სამუშაოებისთვის წარმოდგენილი პროექტით 500 000 ლარია გათვალისწინებული.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ, 2025 წლის 14 ნოემბერს 12-032531815-03 წერილით წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის თაობაზე რეკომენდაცია გასცა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის #2-1 დადგენილების 72-ემუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი" გადასამუშავებლად დაბრუნებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის გადამუშავებული პროექტი განიხილა. ლევან აბაშიძის ინფორმაციით, მერიის შესაბამის სამსახურებთან გამართული კომუნიკაციის შედეგად ცნობილი გახდა, რომ სამსახურები მზადყოფნას გამოთქვამენ, ტენდერის გამოცხადების შემდგომ, ფინანსური რესურსების ათვისების შემთხვევაში დამატებითი რესურსები მოიძიონ და შესაბამისი საბიუჯეტო ცვლილებები განახორციელონ, რათა წლის განმავლობაში უწყვეტად გაგრძელდეს აბრების დამზადება-მონტაჟის სამუშაოები.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრების მიერ დადებითად იქნა შეფასებული ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი" განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის სხდომაზე გლდანის რაიონში, დავით სარაჯიშვილის ქუჩისთვის დავთ სარაჯიშვილის გამზირის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით იმსჯელეს. ლევან

აბაშიძემ აღნიშნა, რომ საჭიროა დავით სარაჯიშვილის ქუჩას განესაზღვროს მართებული და შესაბამისი ობიექტის ტიპი და უნდა ეწოდოს დავით სარაჯიშვილის გამზირი. ასევე გლდანის რაიონში, გელა ოჩიაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, გურამ სოლოღაშვილის სახელი მიენიჭება.

კომისიის სხდომაზე გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში საირმის II შესახვევის და ქედის ქუჩის გავრცელების არეალის კორექტირებასთან დაკავშირებული, ასევე ქედის ქუჩის მონაკვეთისთვის ხანძთის I ჩიხის სახელის მინიჭების საკითხები განიხილეს.

კომისიას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტიდან განსახილველად გადმოეგზავნა გოჩა პატარაიას განცხადება, რომლითაც განმცხადებელი ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას. ტერიტორია მდებარეობს გლდანის რაიონში, რეზო გაბაშვილის ქუჩასთან და წარმოადგენს მის უსახელო ჩიხს.

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ 2011 წელს ხიდის სახელი მიენიჭა თბილისის სატრანზიტო გზის მონაკვეთს სოფელ გლდანის მიმდებარედ და მას მინიჭებული აქვს თბილისის შემოსასვლელი გზატკეცილის სახელი. დღეის მდგომარეობით კი სოფელ გლდანში მდებარე ყოფილი ხიდის ქუჩის მონაკვეთი ჩამოყალიბდა, როგორც უსახელო გეოგრაფიული ობიექტი. ლევან აბაშიძის განცხადებით ხსენებულ უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს კომისიას სურს 26 მაისის I გასასვლელის სახელი მიანიჭოს.

კომისიის სხდომაზე ისნის რაიონში, აბუსერიძე ტბელის ქუჩისთვის და სახალხოს III ჩიხისთვის ტბელ აბუსერიძის ქუჩის სახელის მინიჭებაზე იმსჯელეს. ხსენებული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებების დაზუსტება სამისამართო რეესტრში მონაცემების ერთიანი პრინციპით აღრიცხვას და სწორი მონაცემების რეგისტრაციას უზრუნველყოფს.

რაც შეეხება ისნის რაიონში ჰოსპიტლის შესახვევისთვის ჰოსპიტლის ქუჩის სახელის მინიჭების საკითხს, ლევან აბაშიძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების შესაბამისად ჩიხების, გასასვლელების თუ შესახვევების სახელდება უნდა განხორციელდეს რომაული ციფრების და იმ ქუჩის სახელწოდების მითითებით, რომელსაც უერთდება ჩიხი, გასასვლელი თუ შესახვევი. ქუჩის სახელწოდების შეცვლის შემთხვევაში, სახელი ეცვლება ქუჩაზე მიერთებულ ჩიხსაც, გასასვლელსაც და შესახვევსაც. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან ჰოსპიტლის ქუჩა აღარ

არსებობს და დამოუკიდებელ გეოგრაფიულ ობიექტად შემორჩენილა ჰოსპიტლის შესახვევი, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ქუჩად ჩამოყალიბება და ჰოსპიტლის ქუჩის სახელის მინიჭება.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოისმინეს, კომისიის თავმჯდომარესთან ერთად იმსჯელეს და მსაზი დაუჭირეს საკითხების საკრებულოს წინაშე ინიციატივებად დარეგისტრირებას და კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნებას.

ლევან აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ლევან აბაშიძე